

იქვეთიმი კოჭლამაზაშვილი

წინდობისა და ქორწილის საეკლესიო რიტუალი უძველეს ქართულ „კურთხევათა“ კრებულებში

წინდობისა და ქორწილის წეს-განგებანი ქართულ „კურთხევათა“ კრებულებში X საუკუნიდანაა შემორჩენილი, მომდევნო პერიოდში კი, საეკლესიო ცხოვრების საჭიროების გამო, ამ წეს-განგების მრავალი რედაქცია ჩამოყალიბდა.

უძველეს სინურ „კურთხევათა“ კრებულებში (Sin. 12, Sin. 66; ორივე – X ს.), რომლებიც ღმრთისმსახურების იერუსალიმურ ტრადიციას ასახავენ, სხვა წეს-განგებებთან ერთად წინდობისა და ქორწილის წესებიც გვხვდება.¹ მათგან მნიშვნელოვნად სხვაობს გიორგი მთაწმიდელის (XI ს.) მიერ თარგმნილი კონსტანტინეპოლური ტრადიციის წეს-განგებანი, მათი მრავალრიცხოვანი რედაქციებითურთ, აგრეთვე XVII ს.-ში შესრულებული ახალი თარგმანი (კვიპრიანე სამთავნელისა), რომელიც დღესდღეობით გაბატონებულია საეკლესიო ღმრთისმსახურებაში.

მეცნიერებაში კარგადაა ცნობილი როგორც გიორგი მთაწმიდელისეული,² ისევე კვიპრიანე სამთავნელისეული „კურთხევა-

1 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაკვეთი III, შეადგინეს და დასაბუჟდად მოამზადეს: რ. გვარამიამ, ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა, ლ. ჯღამაიამ, თბ., 1987 წ., გვ. 39, 72-73.

2 იხ. *К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тифлис, 1908, стр. 107-108, 159.* ე. კოჭლამაზაშვილი, დიდი სინური კურთხევანის რედაქციული თავისებურებანი, თბ., 2002 წ., გვ. 21-24. ტექსტი გამოქვეყნებულია: „დიდნი კურთხევანი“, გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, I, თბ., 2002, გვ. 145-167.

ნის“ ტექსტები,¹ ხოლო უძველესი, ათონამდელი პერიოდის (X ს-მდელი) წეს-განგებათა ტექსტები, რომლებშიც უძველესი საეკლესიო რიტუალის შესახებ უნიკალური ცნობებია დაცული (ბერძნული დედანი დაკარგულია), დღემდე არ გამოქვეყნებულა.

ქორწინების წეს-განგებათა ტექსტები, რომლებიც Sin. 12-სა და Sin. 66-შია შემონახული, საკმაოდ ახლოს არიან ერთმანეთთან, რაც საშუალებას გვაძლევს, ერთი მათგანის მცდარი ვარიანტული წაკითხვა მეორის წაკითხვით შევავსოთ (და პირიქითაც!), მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანი რედაქციული და კომპოზიციური სხვაობაცაა, რის გამოც პარალელის უქონელ ადგილებში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ ხერხდება მათი ყველა ტექსტობრივი ბუნდოვანების დაძლევა.

სანამ სხვა მასალების გაცნობისა და ტექსტის საბოლოო დადგენის საშუალება მოგვეცემოდეს,² ჯერჯერობით მკითხველს ვთავაზობთ ძველი სინური კოლექციის ორივე ზემოაღნიშნულ ხელნაწერში შენახული ქორწინების წეს-განგების ტექსტებს (Sin. 12, 123v-130v, Sin. 66, 18r-25v), მცირედენი კომენტარებით. ტექსტის მკვეთრად განსხვავებულ ადგილებს ორ სვეტად წარმოვადგენთ (მარცხენა სვეტში – Sin. 12, მარჯვენაში – Sin. 66 ტექსტები), მცირედ განსხვავებულს – ერთ სვეტად. სქოლიოში ვარიანტებს ვუთითებთ A და B ლიტერებით (შესაბამისად Sin. 12 და Sin. 66-ის აღსანიშნავად). ვარსკვლავით აღნიშნული ადგილების კომენტარებს ვურთავთ ტექსტის ბოლოში.

ვფიქრობთ, ჩვენი პუბლიკაცია გარკვეულ დახმარებას გაუწევს უძველესი საეკლესიო-საღმრთისმსახურო ტრადიციების შესწავლით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

1 კურთხევანი, ძალითა ღმრთისამათა თარგმნილი ბერძულისაგან ქართულად კიპრიანეს მიერ სამთავანელისა, მოსკოვი, 1826 წ., გვ. 49-72.

2 ქორწინების ათონამდელი წეს-განგების ტექსტები, მოსალოდნელია, დაცული იყოს ქართულ ხელნაწერთა ახალი სინური კოლექციის № 53 ხელნაწერში. იხ.: სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შეადგინეს ზაზა ალექსიძემ, მხექალა შანიძემ, ლილი ხევსურიანმა და მიხეილ ქავთარიამ, ათენი, 2005 წ., გვ. 285-286.

[განგებაჲ წინდობისაჲ] (1*)

ოდეს წინდობად მოვიდენ¹ მექორწილენი,² დიაკონმან კუერექს-ყოს.³

მღელმან ესე ლოცვაჲ წართქუას: უფალო კაცთმოყუარეო და ქველისმოქმედო, რომელმან⁴ წინაჲსწარმეტყუელისა კმითა სთქუ: უფლისა მიერ განეშადადების ცოლი ქმარსა, შენ, უფალო, რომელნი-ესე წარდგომილ არიან დაწინდებად, ღირს-ყვენ შენ-მიერსა კურთხევასა და აღასრულე მეუღლეებაჲ ამათი უბიწოდ, კეთილად, სათნოებით, ცხოველს(124rA)მყოფელითა⁵ ნებითა შენითა, მაღლითა და კაცთმოყუარებითა ქრისტჳს⁶ შენისაჲთა,⁷ მის თანა შენდა დიდებაჲ სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნიითი-უკუნისამდე, ამენ.⁸

ლოცვაჲ მეორე⁹ წინდობისაჲვე (vB)

ღმერთო საუკუნეო,¹⁰ რომელმან განბნეულნი შეჰკრიბენ¹¹ ერთად და საკრველი¹² ერთობისაჲ დასდევ განუჭრელი, აწ შენ, უფალო, სრულ ყავ საქმჳს¹³ ესე განზრახული — შეუღლებისა¹⁴ საკრველი,¹⁵ რამეთუ შენ ხარ, რომელმან იწყე¹⁶ ჩუენ შორის ყოვლისა საქმისა კეთილისა აღსრულებად, რამეთუ შენ ხარ მიზეზი ყოვლისა კეთილისა და შენდა დიდებასა შევსწირავთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნიითი-უკუნისამდე, ამენ.¹⁷

მოდრეკილთაჲ წინდობისაჲვე¹⁸

უფალო ღმერთო ჩუენო,¹⁹ რომელმან დაიწინდე²⁰ შენდა წარმართთაგანი ეკლესიაჲ, ქალწული უბიწოჲ, რომელმან აკურთ-

1 მოვიდოდიან B. 2 მექორწილენი — B. 3 კუერექსი ყოს B. 4 რომელმან + კელითა A. 5 ცხოელსმყოფელითა B. 6 ქე A, ქწ B. 7 შენისათა B. 8 მარადის და უკუნიითი-უკუნისამდე, ამენ — B. 9 მეორე] ბ B. 10 საოკონეო B. 11 შეკრიბენ B. 12 საკორველი B. 13 საქმე B. 14 შეუღლებისაჲ A, შეუღლებისა B. 15 საკორველი B. 16 იწყევ B. 17 და მარადის და უკუნიითი-უკუნისამდე, ამენ — B. 18 წინდობასა B. 19 ჩწ B. 20 დააწინდე (?) AB.

ხენ აბრაჰამ და (vA) სარა, (19rB) ისაკ¹ და რებეკა, იაკობ და რაქელ, დამკვდრებად² აღთქმისა³ მის⁴ შენისა; შენ აკურთხენ მონა-მკეველნი ესე შენნი, წარუძელუ⁵ ამათ ყოველსა საქმესა ჭეშმარიტებისა და სიმართლისასა, რამეთუ მოწყალე და ქველის-მოქმედ ხარ და კაცთმოყუარე,⁶ ღმერთო ჩუენო, და შენდა დიდებაჲ [შუენის]⁷ მამისა⁸ და ძისა და სულისა⁹ წმიდისა აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.¹⁰ (2*)

ამისა შემდგომად დასწეროს ჯუარი¹¹ თავსა მათსა და ჯუარნი¹² მათნი შეუცვალნენ¹³ ურთიერთას¹⁴ და მიჰვედრნეს¹⁵ თითოელად¹⁶ მშობელთა, გინა თუისეულთა¹⁷ მათთა, რამათა არა შეეხნენ ურთიერთას,¹⁸ ვიდრე ქორწილებადმდე.¹⁹ (3*)

კურთხევაჲ გვრგვნთაჲ

წესი ქორწილისაჲ

მოიყვანენ მშობელთავე გინა თუისთა²⁰ მათთა ეკლესიად. დიდსა კარსა გარე დადგენ ვიდრე ჟამის განტევებადმდე (4*) და გუირ(vB)გუინნი²¹ მათნი ლაკ-^[6]ითა თითოი და სამოსელი ჭურჭლითა²² და კერიონნი. და შემდგომად ჟამისა²³ აღსრულები-^{სა}²⁴ მივიდეს მათ თანა მღელელი

1 ისაკ A. 2 დამკვდრებად B. 3 აღთქმისა B. 4 მწ B. 5 წარუძელ B. 6 კაცთმოყუარე + ხარ A. 7 შუენის – AB. 8 მწსა B. 9 სოლი წ B. 10 და მარადის და უკი-უკე, ამენ – B. 11 ჯწ B. 12 ჯწანი B. 13 შეოცვალნენ B. 14 ორთიერთარს B. 15 მიჰვედრენეს B. 16 თითოელად B. 17 თოისეულთა B. 18 ორთიერთარს B. 19 ქორწილებადმდე B. 20 თოისთა B + ჯი (?) B. 21 გოირგოინნი B. 22 ჭორჭლითა B. 23 სამისა (?) B. 24 აღსრულებისა B.

დიაკონთა თანა კელაპტრითა¹ და
საცეცხურითა² და ჰკითხოს მათ
სიწმიდისათვის³ ესრეთ: იხილეთ,
შვილნო, რამეთუ მოხუალთ⁴ წი-
ნაშე ღმრთისა, რომელი ხედავს ყო-
ველთა დაფარულთა⁵ და იცნის საი-
ღუმლონი⁶ გულთანნი.⁷ დაიდევით
შიში ღმრთისაჲ⁸ გონებათა თქუენ-
თა, და უკუეთუ⁹ გაქ[უ]ს დაფარუ-
ლი¹⁰ შეცოდებაჲ ღმრთისა მიმა-
რთ, აღიარეთ წინაშე კაცთა, რამე-
თუ უმჯობე¹¹ არს საწუთროსა¹²
სირცხუ[ი]ლი¹³ წინაშე კაცთა, ვი-
დრე საუკუნესა¹⁴ სირცხუ[ილ]სა¹⁵
წინაშე ღმრთისა და წმიდათა¹⁶ ან-
გელოზთა მისთა, ოდეს მოვიდეს
განკითხვად ყოველთა სიმართლისა
საშჯელითა. (5*)

და უკუეთუ¹⁷ პოვნენ¹⁸ მტკიცე
სიწმიდესა, დასწეროს მათ მღდე-
ლმან¹⁹ ჯუარი²⁰ (20rB) და ულო-
ცოს²¹ და შეჰმოსოს სამოსელი
საქორწინეჲ და მიიხუნენ²² გუირ-
გუინნი²³ თუისნი²⁴ კელთა თუის-
თა²⁵ ზედა და შეუდგენ²⁶ მღდელ-
სა²⁷ და წინა-უძლოდიან²⁸ დიაკონნი
კელაპტრითა და²⁹ საცეცხურითა³⁰

1 კელაპტრითა B. 2 საცეცხურითა B. 3 სიწმიდისათვის B. 4 მოხუალთ B. 5 დაფარულთა B. 6 საიდუმლონი B. 7 გულთანნი B. 8 ღმრთისა B. 9 უკუეთუ B. 10 დაფა B. 11 ომჯობე B. 12 საწუთროსა B. 13 სირცხვილი B. 14 საოკუნესა B. 15 სირცხვილსა B. 16 წ(თა) ? B. 17 ოკუეთო B. 18 იპოვნენ B. 19 მღლმნ B. 20 ჯრი B. 21 ოლოცოს B. 22 მიიხუნენ B. 23 გოირგოინნი B. 24 თისნი B. 25 თოსთა B. 26 შეუდგენ B. 27 მღლსა B. 28 წინა-ოძლოდიან B. 29 და – B. 30 საცეცხურითა B.

შემდგომად წმიდაო
დმერთო ესა წარმოდგენ
წინაშე საკურთხეველსა; ფსა-
ლმუნსა იტყოდიან: უფალო
 უფალო ჩუენო, ვითარ საკურ-
 ველ არს... (1)

დიაკონმან კუერექს-ყოს.
მღვლემან ესე ლოცვაჲ
წართქუას: ჰე უფალო ყოვლად-
 ძლიერო, ვითარ აურაცხელ
 არიან წყალობანი შენნი, ანუ
 ვინ კაცთაგანი შემძლებელ¹³
 არს გამოთქუმად საკურველე-
 ბათა შენთა; (125rA) რომელმან
 პირველ დაბადებითგან სოფ-
 ლისაჲთ ყოველივე განაგე და
 არაარსისაგან შეჰქმენ კაცი,
 მამალი და დედალი აკურთ-
 ხე. (2) ხოლო შეჰქმენ კაცი მს-

და იტყოდიან ფსალმუნთა:¹
 უფალო, უფალო ჩუენო,² ვი-
 თარ საკურიველ არს³ სახე-
 ლი... (1)

და მივიდენ აღსავალსა სა-
კურთხეველისასა⁴ **და დაადგი-**
ნონ სიძეჲ საშუალ⁵ **მართლ-**
აღსავალსა საკურთხეველისა-
სა⁶ **და სძალი მარჯუენით სი-**
ძესა და გუირგუინნი⁷ **მათნი**
დაადგნენ წინაშე წმიდასა სა-
კურთხეველსა⁸ **და მოუდრიკ-**
ნენ⁹ **მუკლნი**¹⁰ **ზედა ალაქსი-**
მარსა (6*) წმიდასა.¹¹

და დიაკონმან კუერექსი:
 უფლისა მიმართ ვილ[ოცოთ].
 შეერთებისა ამათისათუის,
 რომელი იქმნების, უფლისა...

რამთა უფალმან წმიდაჲ და
 უბიწო¹² საწოლი მოჰმადლოს,
 უფლისა მიმართ... (20vB)

მეოხებითა ღმრთისმშობე-
 ლისაჲთა, ვედრებითა ყოველ-
 თა წმიდათაჲთა¹⁴ თავნი ჩუენ-
 ნი¹⁵ და ყოველი ცხორებაჲ სა-
 მებასა წმიდასა¹⁶ შევედროთ.¹⁷

შენ, უფალო.

1 ფსალმონთა B. 2 ჩნ B. 3 საკურიველ არს] საკორველა B. 4 საკოთხე-
 ლისასა B. 5 საშოალ B. 6 საკოთხეველისა B. 7 გოირგოინნი B. 8 საკოთხ-
 ეველსა B. 9 მოოდრიკნენ B. 10 მოკლნი B. 11 წანი (?) B. 12 ობიწო B.
 13 შემძლებელ A. 14 წმიდათათა B. 15 ჩნი B. 16 წჲ B. 17 შევედროთ B.

(1) ფს. 8,2,10. (2) დაბ. 1,27.

გავსად შენდა და დაადგინე ქმნულსა კელთა შენთასა; ყოველივე დაამორჩილე ქუეშე ფერკთა მისთა და დიდებულ ჰყავ იგი ყოველსა ზედა დაბადებულსა; შემდგომად მისა მოავლინე ძმ შენი მოძიებად წარწყმდულისა ნათესავისა კაცთაჲსა და ღირს-მყვენ შესლვად ტაძარსა წმიდასა შენსა და წარდგომად წინაშე შენსა და ჩუენებად სიწმიდჳ ამათი, ვითარცა თუ-სისა მამისაჲ და შემოქმედისაჲ, და ხარ-ვე ეგრე. ჰე, უფალო ყოვლისა-მპყრობე-ლო, აკურთხენ ესენი ვიდრე სიბერედმ-დე¹ და მოხედე² ქმნულსა კელთა შენ-თასა; აკურთხე მეუღლ(ა)ებაჲ ამათი და მოეც შვილიერებაჲ სათნოჲ, რაჲთა განზარდნენ იგინი სიწმიდით და ასწაონ შიში შენი; მოეც გონიერებაჲ და სახ-ლისა განგებაჲ, რაჲთა ნაყოფსაცა კელ-ითა მათითა შესწირვიდენ, რამეთუ შენი არს დიდებაჲ, მამისა და ძისა და წმიდ-ისა სულისა, აჴ და მარადის და უკუნი-თი-უკუნისამდე, ამენ. (7*)

ფსალმუნი: ნეტარ არიან ყოველნი, რომელთა ეშინის [უფლისა] (ფს. 127).

მღელმან ესე ლოცვაჲ წართქუას:³ უფალო ნებისყოფე-ლო ღმერთო⁴ ყოვლისა-მპყრობელო⁵ მამაო უფლისა ჩუენისა იესუ⁶ ქრისტესო,⁷ ღმრთისა და მაცხოვრისაო,⁸ დამბადებელო და შემოქმედო ყოველთაო, რომელმან კელითა ძისა შენისაჲთა, ნათლისა მის⁹ ჳეშმარიტისა,¹⁰ სასოჲსა¹¹ მის¹² ჩუენისაჲთა,¹³

1 სიბერემდე A. 2 მოჰხედე A. 3 წართქუას – B. 4 ღმერთო – A. 5 ყლ-სა-მპყრობელო B. 6 იჴ B. 7 ქესო B. 8 ღისა და მაცხოვრისაო – A. 9 მის – A. 10 ჳეშმარიტებისა B. 11 სასოებისა B. 12 მის – A. 13 ჩნისაო B.

ყოველივე შეჰქმენ მამალი და დედალი, და¹ აკურთხენ² იგინი³ და სთქუ:⁴ „ალორძნით და განმრავლდით და აღავსეთ⁵ ქუეყანა⁶ და უფლებით⁷ მას⁸ ზედა“. (1) შენ სთქუ, უფალო:⁹ (126 rA) „ამისთჳს¹⁰ დაუტეოს¹¹ კაცმან მამა თჳსი¹² და დედა თჳსი¹³ და შეეყოს იგი¹⁴ ცოლსა თჳსსა,¹⁵ და იყვნენ¹⁶ (21rB) ორნივე იგი¹⁷ ერთკორც“, (2) შენ, უფალო ღმერთო ჩუენო,¹⁸ რომელი უხუ¹⁹ ხარ ყოველთა მიმართ, რომელნი ზადიან²⁰ სახელსა შენსა წმიდასა,²¹ მოხედენ²² ამათცა, ქმნულთა შენთა,²³ და შეაუღლენ²⁴ ესენი, რაათა იყვნენ ორნივე ერთკორც, და იყვნენ ესენი²⁵ მეუღლე პატიოსან;²⁶ მოეც ამათ სიყუარული,²⁷ მშჳლობა²⁸ და ერთგულებით²⁹ ღუწოლა³⁰; მოეც ამათ³¹ შვილიერება³² კეთილი; აკურთხე, უფალო,³³ მეუღლებად ამათი, აკურთხენ შვილნი ამათნი და შვილნი შვილთანი³⁴ და ყოველნი ნაყოფნი ამათნი³⁵ და აცხოვნენ ვიდრე³⁶ სიბერემდე თანაცხოვრებად³⁷ ურთიერთას,³⁸ კსნილებით და³⁹ სიხარულით და⁴⁰ შუებით;⁴¹ მოეც ამათ განგებულებ(ა)ა⁴² სახლისა⁴² და ღირს ყვენ ესენი ერთობით ბრძანებათა შენთა დამარხვად და მცნებათა შენთა დაცვად,⁴³ და ეკლესიათა შენთა ნაყოფისა შეწირვად,⁴⁴ რაათა (21vB) სათნო-გეყვნენ⁴⁵ შენ, უფალო,⁴⁶

1 და – A. 2 აკოთხენ B, აკურთხე A. 3 იგი A, – B. 4 სთქო B. 5 განავსეთ A. 6 ქუეყანა B. 7 ოფლებით B. 8 მათ B. 9 შენ სთქუ, უფალო – B. 10 ამისთის B. 11 დაოტეოს B. 12 თოისი (თისი) B. 13 თოისი B. 14 იგი – B. 15 თოისსა B. 16 იყნენ B. 17 ორნივე იგი] იგინი B. 18 ღმერთო ჩუენო – B. 19 უხუ[ი] (?) B, – A. 20 ჰზადიან A. 21 წმიდასა – B. 22 მოჰხედე A + უფალო A. 23 მოხედენ ამათცა ქმნულთა შენთა B] მოჰხედე, უფალო, ქმნულსა კელთა შენთასა A. 24 შეაუღლენ B. 25 ორნივე ერთკორც, და იყვნენ ესენი – B. 26 პატიოსან + და A. 27 სიყუარული B. 28 მშოიდლობა B, მშჳლობისა A. 29 ერთგოლებით B. 30 ღწოლა B, ღუწულა A. 31 მოეც ამათ B] მათ A. 32 შვილიერობა A. 33 უფალო – B. 34 შვილნი შვილთანი] შვილისშვილნი ამათნი A. 35 ნაყოფნი ამათნი B] ამათგან ყოფილნი A. 36 აცხოვნენ ვიდრე B] აღაორძინენ ესენი A. 37 თანაცხოვრებით A. 38 ორთიერთარს B. 39 და – A. 40 და – A. 41 შოებით B. 42 განგება სახლისა B. 43 დამარხვად და მცნებათა შენთა დაცვად – B. 44 ნაყოფის შემწირველად B. 45 სათნო-იყონენ B. 46 შენ, უფალო – B.

(1) დაბ. 1,28. (2) დაბ. 2,24; შდრ. ეფეს. 5,31.

და ჰმადლობდენ ღმრთეებასა
შენსა, მამისა და ძისა და წმი-
ლისა სულისასა, (8*) აწ და
მარადის და უკუნიითი-უკუნისა-
მდე, ამენ.

ფსალმუნი: უფალო, ძალი-
თა შენითა იხარებდეს მეუფე
და... **ვიდრე:** დაადგ თავსა მის-
სა გვრ[გუნი ქვისა მისგან პა-
ტიოსნისა]. (2)

და და-ხოლო-ადგნეს,⁸ ჯუა-
რი დასწეროს კელისდადებ-
ით, და ფსალმუნსა იტყოდიან
ვიდრე დასასრულამდე. (4)

დიაკონმან კუერექს-ყოს;
მღვდელმან ესე ლოცვაჲ
წართქუას: კურთხეულ ხარ
შენ, ყოვლისა-მპყრობელო ღმ-
ერთო, დასაბამითგან უკუნისა-
მდე, რამეთუ შეჰქმენ ყოველნი
დაბადებულნი¹¹ ცისა და ქუეყ-
ანისანი სიტყვითა ცხორებისაჲ-
თა; კაცი იგი, რომელ ჰქმენ
მსგავსად ხატისა ღმრთეებისა
ქმნუ(127rA)ლებისა შენისა, გა-
ნაწესე და შეაყავ და შეაერთე
სიტყვსმოდგამად ცხორებისა

და ცხონდენ ცხორებასა მას
საუკუნესა¹ ქრისტე იესუმს²
მიერ, უფლისა ჩუენისა, რომ-
ლისა თანა შენდა დიდებაჲ შუ-
ენის³ სულით წმიდითურთ,⁴ აწ
და მარადის და უკუნისამდე.⁵

ამისსა შემდგომად იტყო-
დიან ფსალმუნთა: რაჲ-მე
კეთილ ანუ⁶ რაჲ-[მე]... (1) ნე-
ტარ არიან ყოველნი,⁷ რომელ-
თა ეშინ[ის]... (3)

დიაკონმან – კუერექსი.
მღვდელმან⁹ ესე: კურთხეულ
ხარ შენ, ყოვლისა-მპყრობე-
ლო¹⁰ ღმერთო, საუკუნითგან
და უკუნიითი-უკუნისამდე, რო-
მელმან შეჰქმნენ ყოველნი და-
ბადებულნი ზეცისანი და ქუე-
ყანისანი სიტყუითა ცხორები-
საჲთა;¹² და კაცი იგი, რომე-
ლი შეჰქმენ კელითა შენითა
ხატად და მსგავსად შენდა და
[განაწესე]¹³ და შეაყავ მას და
შეაერთე (22rB) სიტყუისმოდ-

1 საოკონესა B. 2 იწ B. 3 შოენის B. 4 სოლით წ̣თორთ B. 5 ოკ̣ე B.
6 ანო B. 7 ყოველთა B. 8 და-ხოლო-ადგნეს A. 9 მ̣ლლად B. 10 ყ̣ლსა-
პყრობელო B. 11 ყოველი დაბადებული A. 12 სიტყოათა ცხორებისათა B. 13
გაჰნაწილე (?) B.

(1) ფს. 132. (2) ფს. 20,2-4. (3) ფს. 127. (4) ფს. 20,2-14

ზიარად,
 ბუალი, რომელი გამოიღე ბუა-
 ლთა მისთაგან,
 და ჰყვენ იგინი ერთკორც,
 რამეთუ შენ მხოლოდ ხარ
 ღმერთი,
 რომელმან კაცებასა ჩუენსა⁵
 განუმზადე ორკერძოვე გვრგვ-
 ნი – ზეცისა და ქუეყანისაჲ;
 ზეცისა გვრგვნი – წმიდათა
 მათ სწავლათაჲ, და ქუეყანისა
 გვრგვნი – ერთად მეუღლები-
 საჲ ქმნულთა ამათ შენთაჲ,⁹
 ვითარცა აკურთხე მეუღლებაჲ
 აბრაჰამისი და სარაჲსი, ისაკისი
 და რებეკაჲსი, იაკობისი და რა-
 ქელისი;
 აკურთხენ ესენი კურთხევითა
 შენითა სულიერითა, ვითარცა
 თქუა მოციქულმან:
 წმიდა არს ქორწილი და სა-
 წოლი – შეუგინებელ. (1)

წმიდა ყავ, უფალო, საწოლი
 მეუღლებისა ამათისაჲ, რაჲთა
 იკურთხნენ კურთხევითა შენი-
 თა, ვითარცა არქუ ნოეს: აღ-
 ორძნდით და (vA) განმრავლ-

გამად¹ და ცხორებისა ზიარ-
 ად, ბუალი² იგი, რომელი მოი-
 ლე ბუალთა³ მისთაგან, და კორ-
 ცი კორცთა მისთაგან და
 იყვნეს⁴ ორნივე ერთკორც,
 რამეთუ შენ მხოლოდ მოწყ-
 ალე ხარ ღმერთი, რომელმან
 კაცებასა ამას ჩუენსა ორკერ-
 ძოვე განუმზადე⁶ გუირგუინი⁷
 –

ერთად მეუღლებისაჲ⁸ შექმნუ-
 ლთა¹⁰ შენთაჲ,
 ვითარცა აკურთხე¹¹ მეუღლე-
 ბაჲ აბრაჰამისი და სარაჲსი,
 ისაკისი და რებეკასი, იაკობი-
 სი და რაქელისი,
 აკურთხენ¹² ესენიცა კურთხ-
 ევითა სულიერითა, ვითარცა
 სთქუ¹³ მოციქულისა მიერ,
 ვითარმედ: პატიოსან არს ქორ-
 წილი ყოვლითურთ¹⁴ და სა-
 წოლი – შეუგინებელ. (1)

წმიდა¹⁵ ყავ საწოლი მეუღლე-
 ისა ამათისა, რაჲთა იკურთხ-
 ნენ¹⁶ სიტყვითა¹⁷ შენითა,
 ვითარცა არქუ¹⁸ ნოეს, ვი-
 თარმედ: აღორძნდით და განმ-

1 სიტყვისმოღვადად B. 2 ძოალი B. 3 ძოლთა B. 4 იყნეს B. 5 შენსა A. 6 განომზადე B. 7 გურგუინი B. 8 მეუღლებისაჲ B. 9 შენთაჲსა A. 10 შექმნოლთა B. 11 აკორთხე B. 12 აკორთხენ B. 13 სთქო B. 14 ყითოთორთ B. 15 წჷ B. 16 იკორთხნენ B. 17 სიტყვითა B. 18 არქო B.

(1) ებრ. 13, 4.

დით და განავსეთ ქუეყანა; (1)

აღორძინენ ესენი აღორძინებითა სიწმიდისაჲთა და განმრავლდენ შენდა ერად და თაყუანისმცემელად,

და გადიდებთ შენ, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

ფსალმუნი: ცანი უთხრობენ ღიღებასა ღმრთი... (2)

ლოცვაჲ დ: ღმერთო უხრწნელო, ყოვლისა დაბადებულისა შემოქმედო, რომელმან პირველისა მამისა ჩუენისა ადამისგან გუერდი შენითა კაცთმოყუარებითა შეჰქმენ ღედაკაცად და აკურთხე იგი და სთქუ:

აღორძნდებოდეთ და განმრავლდებოდეთ და აღავსეთ ქუეყანა; (3) და ორნივე იგი ერთკორცად გამოაჩინენ, რამეთუ შენ შეაერთენ¹⁰ ივინი, რომელმან გამსუენწ შენი აბრაჰამ სარაჲს თანა აკურთხე და განაღე საშოჲ მისი და მამად მრავალთა ნათესავთა და ური-

რავლდით (22vB) და აღავსეთ ქუეყანა,¹ (1) და აღორძინენ ესენი სიორძინითა სიწმიდისაჲთა,² რაჲთა განმრავლდენ³ შენდა ერად და თაყუანისმცემელად სახელისა შენისა, (1*) და გადიდებდენ შენ, მამასა და ძესა და წმიდასა⁴ სულსა⁵ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე.

ამისა შემდგომად იტყოდიან ფსალმუნსა: ცანი უთხრობენ ღიღებასა... (2)

მღელმან⁶ ესე: უფალო ღმერთო ჩუენო,⁷ რომელმან დაჰბადე კაცი იგი, მიწაჲ ქუეყანისაგან მამაკაცად და ღედაკაცად შეჰქმნენ ივინი და აკურთხენ და სთქუ:⁸

აღორძნდით და აღავსეთ ქუეყანა და უფლებდით მას⁹ ზედა; (3)

1 ქუეყანა B. 2 სიწმიდისათა B. 3 განმრავლდენ + ნაშობითა თწსთა (?) B. 4 წწსა B. 5 სწლს B. 6 მლწ B. 7 ჩწ B. 8 აკურთხენ და სთქო B. 9 მათ B. 10 შეერთენ A.

(1) დაბ. 8, 17. (2) ფს. 18, 2. (3) დაბ. 1, 27-28.

ცხუთა ერთა ჰყავ; (128rA)
 რომელმან ისაკს რებეკა მიჰმადლე
 და შობაჲ მათი აკურთხე;
 რომელმან იაკობს რაქელ მიჰმა-
 დლე და საშოჲ მათი აკურთხე;
 რომელმან იოსებს ასენეთი შეაუ-
 დლე, და ნაყოფ შვილიერების
 ეფრემ და მანასე მიჰმადლენ;
 რომელი იესუს ძირისაგან განჰკორ-
 ციელდი;
 რომელმან ზაქარია ელისაბედი-
 თურთ შეიწყნარე და შობაჲ მათი
 უხრწნელისა შობისა შენისა წინა-
 მძღურად გამოაჩინე;
 რომელი საშოსა უქორწინებელისა
 წმიდისა ქალწულისა მარიამისსა
 დაემკჳდრე და მისგან კორციელად
 იშვე ცხორებისათჳს ჩუენისა;
 რომელი გამოუთქუმელითა შენითა
 მადლითა და სახიერებითა მოხუედ
 კანად გალილეაჲსა და მუნი იგი
 ქორწილი აკურთხე და მას შინა
 ჰქმენ საკურველი, რადთა გამოჩნ-
 დეს, ვითარმედ ნებითა შენითა იქმ-
 ნების წესად (vA) მეუღლეებაჲ და
 შვილიერებაჲ; (1)
 შენ, უფალო ყოვლადძლიერო, შეი-
 წირე ლოცვაჲ ჩუენი, მონათა შენ-
 თაჲ, ვითარცა მუნ, ეგრეცა აქა, უხი-
 ლავად თანაყოფითა შენითა

ჯერ-იჩინე შენთუის,¹ მო-
 რაჲ-ხუედ² (23rB) კორცი-
 თა ქუეყანად, მისლვად ქო-
 რწილსა მას ღმრთეებისა
 შენისა საკუირველებითა
 განაახლებ დიდითა მხია-
 რულებითა წყალთა მათ
 ღუინოდ³ გარდაცვალები-
 თა, (1)

1 შნ თწის B + ოწ (?) B. 2 მორაჲხუედ B. 3 ღუინოდ B.

(1) იოვანე 2, 1-11.

აკურთხე ქორწილი ესე და მიჰმადლე ამათ მონა-მკე-
ვალთა შენტა ცხორებაჲ მშუ-
ლობით, დღეგრძელებით, სი-
ბრძნით, ურთიერთას სიყუარუ-
ლით და კრძალულებით, დღე-
თა³ სიგრძით ცხორებაჲ,
შვილთა თანა სიხარული,⁵

და მოჰმადლე ამათ ხილვად
შვილისშვილთა; ღირს-ყვენ ესე-
ნი დაუჭნობელსა⁶ გუგუზნსა
ზეცისასა; აღავსენ საუნჯენი ამ-
ათნი იფქლითა და ღვინითა და
ზეცითა და ყოვლითა კეთილი-
თა და მოჰმადლე ამათ, და აკუ-
რთხე ერიცა ესე და ყოველი
ცხორებისა ამათისა თხოვაჲ
მადლითა და (129rA) კაცთმო-
ყუარებითა ქრისტეს[ს]¹⁴ შენი-

აკურთხე აწცა, გვედრე-
ბით შენ, ქორწილი ესე მე-
ულლებისა ამათისა, ვითარცა
აკურთხე ღირსთა¹ მათ მამათ-
მთავართაჲ² და მამათა ჩუენ-
თა, უბიწოდ დაიცვენ ესენი
შეერთებასა ამას ურთიერთას⁴
და მოჰმადლენ ამათ ნაშობნი
ნებისაებრ შენისა სახიერები-
სა, ნაცვალად მკუიდრობისა⁷
და [ა]დიდენ სახელი ყოვლად-
წმიდისა⁸ სამებისაჲ ამათ ზედა
და ნაშობთა ამათთა, ვითარცა
მოშიშთა და მორწმუნეთა ჭეშ-
მარიტთა, მყუდროებით⁹ და
(23vB) და კეთილადშეუენიერე-
ბითა მოხუცებულებისა განგრ-
ძობითა ცხორებასა ამას
იხილნეს შვილნი შვილთა თუ-
ისტანი და კეთილადმსახურე-
ბისა ქცევითა ცხორებულნი სა-
თნოებათა შენთა მკუიდრ იქმ-
ნენ ზეცისა სასუფეველსა ყოვე-
ლთა წმიდათა¹⁰ შენთა თანა ნა-
ყოფით ნაშობით მათით,¹¹ რო-
მელნი მოჰმადლენ მათ, რამეთუ
კურთხეულ ხარ¹² შენ ყოვ-
ლისა-მპყრობელით¹³ მამით და
ცხოელსმყოფელით სულით

1 ღირსთაჲ B. 2 მამადმთავართაჲ B. 3 დღეთა — A. 4 ორთიერთარს B.
5 სიხარულით A. 6 დაუჭნობელსა A. 7 მკოდრობისა B. 8 ყდ წჷდსა B. 9
ყოდროებით B. 10 წჷდ B. 11 მთითი B. 12 კურთხეულ ხარ]კწ[ლ] B. 13
ყოვლისა-მპრობელით B. 14 ქე A.

სადაც, რომლისა თანა შენდა დიდებაჲ სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ. (9*)

ლოცვაჲ სასუმელსა ზედა:
დმერთო, რომელმან მოსდრი-
კენ ცანი და გარდამოჰკედ⁸
ცხორებისათჳს ნათესავისა კაც-
თაჲსა, რამეთუ მოხუედ კანად
გალილეაჲსსა,¹¹ სადა-იგი გარ-
დააქციე წყალი ღვინოდ საშუე-
ბელად და სარწმუნოებად ერისა
შენისა;

აკურთხენ მონა-მკევალნი ესე
შენნი და კელთა ამათთა სა-
სუმელი ესე ბრძანე ესე ყო-

შენით წმიდითურთ¹ აწ და მა-
რადის და² უკუნითი-უკუნისა-
მდე, ამენ.

**ამისა შემდგომად³ ჟამსა
აზიარნეს (10*) და იტყოლიან
ფსალმუნთა:** უფალო, ძალითა
შენითა იხარებდეს... (1)

**და ჯუარი დასწეროს თითო-
ეულად (24rB) თავსა და გუირ-
გუინნი³ დაადგნეს და მოიღოს
სასუმელი,⁴ (11*) აკურთხოს⁵
და მისცეს სიძესა და სძალსა.**

**ზოლო უკუეთუ არა ერთად
იყვნენ სიძე და სძალი, ოდეს
ერთად იყვნენ,⁶ მაშინ უკუ-
რთხოს.⁷**

ლოცვაჲ სასუმელსა ზედა:
უფალო, რომელმან მოსდრი-
კენ ცანი და გარდამოჰკედ ქუ-
ეყანად ცხორებისათჳს ნათე-
სავისა⁹ კაცთაჲსა,¹⁰ რომელი
მოხუედ¹² კანად გალილეასა
ქორწილსა მას, და გარდააქციე
წყალი ღვინოდ¹³ საშუებელად
და სარწმუნოებად ერისა შე-
ნისა, აკურთხენ მონა-მკევალნი
ესე შენნი და კელთა შინა ამ-
ათთა სასუმელი¹⁴ ესე ყოფად

1 წმითურთ B. 2 და – B. 3 შმდგ B. 3 გოირგოინნი B. 4 სასმელი B.
5 აკორხოს B. 6 იყნენ B. 7 ოკორთხოს B. 8 გარდამოჰკედ + ქუეყანად B.
9 ნათესავისათჳს B. 10 კტასა B. 11 გალილეასასა A. 12 მოხოედ B. 13
ღოინოდ B. 14 სასმელი B.

(1) ფს. 20, 2.

ფად საზრდელად, საცოდ წინამდებარეთათჳს ამათთა უვნებელად ცხორებასა ამათსა მოჰხედუ და დაიცვენ და ჯერიჩინე სასუმელი ესე სასუმელად ცხორებისად და ღწოდ ნუგეშინისცემისად, შეზავებულად სათნოებისად,³ სასუმელად უკუდავებისა და მიზეზ (vA) ერთობისა, რაათა აღავსნე სიხარულითა და მხიარულებითა და შუეებითა, რაათა ღირს იქმნენ გვრგვინსაცა წმიდათა შენთასა და მიემთხვენ⁹ აღთქმულთა მათ შენთა კეთილთა მადლითა ქრისტეს[ს] შენისაჲთა; მის თანა შენდა დიდებაჲ გშუენის სულთ წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

საზრ(24vB)დელად და საცოდ¹ წინამდებარეთა[თჳს] ამათ უვნებელად² მსახურებასა ამათსა მოჰმადლე და დაიცვენ და ჯერიჩინე სასმელი ესე სასმელად ცხორებისად, შეზავებულად სათნოებისად, სასმელად გულისკმისყოფისა,⁴ მიზეზად ერთობისად,

რაათა აღივსნენ სიხარულითა და მხიარულებითა და შუეებითა,⁵ ღირს⁶ იქმნენ გუირგუინსა⁷ წმიდათა⁸ შენთა თანა და მიემთხუენენ აღთქმულთა¹⁰ მათ შენთა კეთილთა,

რამეთუ შენდა შუენის დიდებაჲ თანა მამით...

ხოლო უკუეთუ¹¹ ვინმე არა დადგრომილ¹² იყოს სიწმიდესა თუისსა,¹³ განდგეს იგი ერსა შორის, (1*) და შემდგომად (25rB) კურთხევისა მოიყვანონ და მის თანა აზიარონ და ხუეწილ¹⁴ ოდენ დაადგან. (1*) ხოლო სასმელი ორთავე მისცეს; ულოცოს და წარვიდენ.

1 სოდ B. 2 ონებელად B. 3 სათნოებისა A. 4 გოლისჯამისყოფისა B. 5 შოეებითა B. 6 ღის B. 7 გოირგოინსა B. 8 წმთა B. 9 მიემთხვენენ A. 10 აღთქმულთა B. 11 ოკოეთო B. 12 დადგომილ B. 13 თოის B. 14 ხოეწილ B.

**ოდეს სიძე-სძალთა განჰკს-
ნიდეს, წარმოადგინეს წინაშე
საკურთხეველსა, მღვდელმან
ესე ლოცვაჲ წართქუას:**

უფალო ღმერთო წმიდათა
შენთაო, აკურთხე³ მეუღლებაჲ
ესე ამათი,

აკურთხე შვილიერებაჲ შვილ-
თა ამათთაჲ; აკურთხენ მონა-
მკეველნი ესე შენნი ყოვლითა
კურთხევითა სულიერითა, და-
იცვენ და დაიფარენ ქუეშე
ფრთეთა მხოლოდშობილისა
ძისა შენისა, უფლისა ჩუენისა
იესუ ქრისტესთა, და ღირს ყვენ
ესენი მსახურებად წმიდასა კა-
თოლიკე ეკლესიასა შენსა,
რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩუე-
ნი, ღმერთი მოწყალჲ და კაცთ-
მოყუარჲ და შენდა დიდებასა
შევსწირავთ, მამისა და ძისა
და წმიდისა სულისა აწ და
მარადის და უკუნიითი-უკუნისა-
მდე, ამენ.

**ლოცვაჲ სიძე-სძალთა¹ განკს-
ნისაჲ:²**

უფალო ღმერთო წმიდათა
შენთაო, აკურთხე მეუღლებაჲ
ესე ამათი, აკურთხე მეუღლებაჲ
შვილიერებისა⁴ ამათისაჲ;
აკურთხე შვილიერებაჲ შვილთა
ამათთაჲ; აკურთხენ მონა-მკე-
ველნი ესე შენნი⁵ ყოვლითა კუ-
რთხევითა სულიერითა; დაიცვენ
და დაიფარენ ქუეშე ფერკთა
მხოლოდშობილისა (25vB) ძისა
შენისათა, უფლისა ჩუენისა იე-
სუ ქრისტესთა,⁶ და ღირს ყვენ
ესენი მსახურებად წმიდასა კა-
თოლიკე ეკლესიასა შენსა,
რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩუენი,
ღმერთი კაცთმოყუარე და ღი-
დადმოწყალე და შენდა⁷ დიდე-
ბასა შევსწირავთ, მამისა და
ძისა და [...].

ლოცვაჲ მეორედქორწინებულთაჲ:

უფალო ღმერთო ყოვლისა-მპყრობელო, რომელმან განწესე-
ბითა კურთხევისა შენისაჲთა და შენითა ქველისმოქმედებითა
განამრავლე ერთისაგან⁸ ნათესავი კაცთაჲ, ვითარცა კაცთმოყუარე-

1 სძმს¹ლთა B. 2 გაკსნისაჲ B. 3 აკურთხე + შენ A. 4 შვილიერებისაჲ
B. 5 შნი B. 6 იწსო ქესა B. 7 შნდ B. 8 ერისაგ B.

ბისა შენისა განგებულებითა ძლიერებით¹ შეაუღლენ და* შემდგომად პირველ ცხორებისა მის წესისა შესაწევნელად ბუნებისა საკმარისაჲ ჰპრძანე; (1) რომელმან მოწყალებითა შენითა განაწეე ესე, საკმარი კეთილადწესიერებისაჲ განაჩინე, მოჰხედე, უფალო, მონა-შკევალთა ამათ [შენთა]² და მოეც ამათ (vA) ცხორებაჲ კეთილადწესიერებისაჲ, ქველისმოქმედ, მოსწრაფებაჲ, მშუდობაჲ, უშურველი შუებაჲ, და ცხორებაჲ ამათი განაგე დიდებულსა შენსა სასუფეველსა, რამეთუ ცხოველ არს და მფლობელ და ჰგეის სახელი შენი, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:

1. ეს დასათაურება პირობითია. წინდობის განგება ორივე ხელნაწერში (AB) დაუსათაურებელია. ტექსტიდან ჩანს, რომ წინდობა ანუ დაწინდვა – საქორწინო აღთქმის ნიშნად წინდის ანუ საწინდარის (აღთქმის სიმტკიცის დამდასტურებელი წმიდა ნივთების) ურთიერთგაცვლის რიტუალი იყო, რომელიც ქორწინებას წინ უსწრებდა დროის გარკვეული შუალედით. საწინდრად აქ მითითებულია ჯვრები, რომელთაც სიძე-სძალი უცვლის ერთმანეთს, მღვდლის მიერ ლოცვების წართქმისა და მათზე ჯვრის გადასახვის (ჯვრის დაწერის) შემდეგ. მოგვიანო პრაქტიკით, წინდობის ჯვრების ადგილი ოქროსა და ვერცხლის ბეჭდებმა დაიკავა.**

2 „ლოცვაჲ მოდრეკილთაჲ“ (სახელწოდება გვიჩვენებს, რომ ამ ლოცვას სიძე-სძალი თავმოდრეკით ისმენდა) მიმართულია

* აქ წყდება B ტექსტი, რადგან 25-ე ფურცლის შემდეგ ხელნაწერს აკლია ფურცლები.

** იხ. კუთხეგანი, ძალითა ღმრთისაჲთა თარგმნილი ბერძულისაგან ქართულად კიპრიანეს მიერ სამთავნელისა, გვ. 42.

1 კაცთმოყუარებისა შენისა განგებულებითა ძლიერებით (ძრიელებით A)] [კათ]მოყუარებ[ი]თა ძ[ლ]რებ[ი]ს[ა]] [შნისა]თა B. 2 შენთა – A.

(1) დაბ. 2,20.

ქრისტესადმი, რომელიც აქ სიძედ, წარმართთაგანი ეკლესიის დამწინდებელაა მოხსენიებული.¹ ამიტომაც ლოცვის დაბოლოება (ასამაღლებელი), სადაც მიმართვა უკვე წმიდა სამებისადმი („...შენდა დიდებაა შეუენის, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა...“), ქრისტიანული დოგმატის თანახმად, სრულიად არ შეეფერება ლოცვის დანარჩენ ტექსტს.² მსგავსი შეცდომები გადამწერის ყურადღების მოდუნებითაა გამოწვეული და ყველა დროის ლიტურგიკულ ძეგლებში შეიძლება შეგვხვდეს. მათ პირველად მივაქციეთ ყურადღება 2000 წელს „ლიტურგიკული შენიშვნების“ სერიის ერთ-ერთ სტატიაში.³

3 წინდობის შემდეგ მღვდელი სიძესა და სძალს „მიჰვედრებდა“ (ჩააბარებდა) თავიანთ მშობლებს ან ახლობლებს („თუ-ისეულთ“), რათა ქორწილამდე (გვირგვინის კურთხევამდე) წმიდად დაეცვათ ისინი, ერთმანეთთან შეუხებლად.

4 „ჟამის განტევენად“ აქ ჟამისწირვის დასრულება კი არ უნდა იგულისხმებოდეს, არამედ „ჟამობისა“, რომელიც ლიტურგიას უძღვის წინ. ამას გვაფიქრებინებს ქვემოთ მითითება, რომელიც განაჩინებს, რომ სიძე-სძალნი „შემდგომად წმიდაო ღმერთო და“ უნდა „წარმოდგენ წინაშე საკურთხეველსა“. „წმიდაო ღმერთო“ კი ჟამისწირვის საგალობელია. ამრიგად, ჩვენს ხელთაა გვირგვინთა კურთხევის უძველესი წესი, რომლის მიხედვითაც საქორწინო რიტუალი ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი ლიტურგიის წეს-განგებისაგან (IX ს.). სიძე-სძალი ერთად ესწრებოდა ლიტურგიას და ეზიარებოდა სიწმიდეს; საქორწინო წეს-განგება, მოწესეთა (დიაკნის, მღვდლის, ეპისკოპოსის) ხელთდასახმის მსგავსად, ლიტურგიის მიმდინარეობაში იყო ჩართული.

1 ეკლესიის სიძედ ქრისტეს მოხსენიება (ხოლო სძლად – ეკლესიისა) ძალიან გავრცელებულია ქრისტიანულ ლიტურატურაში. ეს სახისმეტყველება ემყარება საღმრთო წერილს (მათე 25,1-13; 9,15; მარკ. 2,19-20; ლუკა 5,34-35; იოვანე 3,29; ფს. 18,6; ქება ქებათა 1,1-2,8 და სხვ.)

2 ასამაღლებლის შესწორება შეიძლება ასე: „შენდა დიდებაა შეუენის მამისა თანა სულთ წმიდითურთ, აწ და...“

3 ე. კოჭლამაზაშვილი, „მამაო ჩვენო“ ასამაღლებლისათვის, თბ., 2000.

5 „სიწმიდისათვის კითხვა“, როგორც ქვემოთ ტექსტი გვიჩვენებს, გამიზნული იყო იმისათვის, რომ გამორკვეულიყო საქორწინო წყვილის უბიწოება. თუ რომელიმე მეწყვილე „არა დადგომილ იყო სიწმიდესა თვსსა“, მას გვირგვინი არ დაედგმოდა, არამედ მხოლოდ „ხუეწილი“; ამასთან, კურთხევის დასრულებამდე მას მოშორებით განაყენებდნენ („ერსა შორის“) და მხოლოდ კურთხევის შემდეგ მოიყვანდნენ და აზიარებდნენ თავის მეწყვილესთან ერთად.

6 საქორწინო წეს-განგებებში ტერმინი ალ აქ ს ი მ ა რ ი ჯერ-ჯერობით ვერსად ვნახეთ. კონტესტის მიხედვით, ეს უნდა იყოს რაიმე სახის ქვე-დასაფენი მუხლთმოდრეკისათვის. ტერმინი, აშკარად, ბერძნულია, მაგრამ მისი ეტიმოლოგია ვერ გავარკვეით. შეიცავს თუ არა კომპოზიტი **ἄλλαξις** („შეცვლა“) და **μάρι** („ხელი“) სიტყვებს, ვერ ვიტყვით. „ალაქსიმართან“ ჟღერადობით ახლოსაა **τὸ ἀλλάξιμον** (**τὰ ἀλλαξίματα**), რაც „საზეიმო სამოსლად“ განიმარტება (Greek Lexicon of the Roman and Byzantine Periods, by E. A. Sophocles, New York, 1900, 115). ხოლო ხალხურ მეტყველებაში **ἀλλάξιμα** (**ἀλλαξίματα**) „საცვლებს“ (თერთეულს, შიდა შესამოსელს) ნიშნავს (**Δ. Δημητράκου, Μέγα Λεξικὸν τῆς Ἑλληνικῆς Γλῶσσης, Ἀθῆναι, Α.**).

7 ეს ლოცვა მამა ღმერთისადმი მიმართული, რასაც აშკარავენ მისი ერთი ფრაზა: „...შემდგომად მისა მოავლინე ძმ შენი მოძიებად წარწყმდულისა ნათესავისა კაცთაჲსა“. ამიტომაც ამ ლოცვისათვის შეუფერებელია წმიდა სამებისადმი მიმართული დაბოლოება: „რამეთუ შენი არს ღიდებაჲ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა...“¹

8 ეს ლოცვაც, დასაწყისის მიხედვით, მამა ღმერთისადმი მიმართული („ღმერთო ყოვლისა-მპყრობელო, მამაო უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესო...“), ამიტომ სამებისადმი მიმართული მისი დაბოლოება, რაც A ხელნაწერში გვაქვს, მართებული არაა.

1 ლოცვის დაბოლოების შესწორება შეიძლება ასე: „რამეთუ შენი არს ღიდებაჲ მხოლოდშობილისა ძისა შენისა თანა და ყოვლადწმიდისა სულისა შენისა, აჲ და...“

შეცდომა გასწორებულია B ხელნაწერში, სადაც ასამაღლებელი კვლავ მამას მიემართება: „...ქრისტე იესუდს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისა თანა შენდა დიდებაა შეუენის სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნისამდე.“

9 ღმრთისადმი მიმართული „ლოცვაა დ“, როგორც ტექსტიდან ჩანს, უშუალოდ ღმრთის სიტყვას, იესუ ქრისტეს მიემართება (სახელდობრ, ლოცვაში აღნიშნულია მისი განხორციელება „იესჴს ძირისაგან“, უქორწინებელი ქალწულის, მარიამის საშოში მისი დამკვიდრება და ხორციელად შობა „ჩუენისა ცხორებისათჴს“, მისი მისვლა „კანად გალილეაჴსა“ და იქ საკვირველების მოხდენა და ა. შ.); ამიტომაც სრულიად შეუფერებელია მისთვის ის დაბოლოება, რომელიც მას A ხელნაწერში აქვს: „მადლითა და კაცთმოყუარებითა...“ ეს დაბოლოება, აშკარად, **მამა ღმრთისადმი არის მიმართული** და მხოლოდშობილი ძისადმი მიმართული ლოცვის ასამაღლებლად არ გამოდგება. ეს შეცდომა გასწორებულია B ხელნაწერში, სადაც დაბოლოება კვლავ ძისადმია: „რამეთუ კურთხეულ ხარ შენ ყოვლისა-მჰყრობელით მამით და ცხოელსმყოფელით სულით შენით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ“.

10 „ჟამის ზიარება“ გულისხმობს საღმრთო საიდუმლოთა (ქრისტეს ხორცისა და სისხლის) მიღებას, რომელიც კურთხევითა მომღევნო რედაქციებშიც გვხვდება (გიორგი მთაწმიდელისეულსა და რამდენიმე პოსტათონურ ვარიანტში).¹

11 **ს ა რ ლ უ ნ ე ლ ი**, რომელიც „ჟამის ზიარების“ შემდეგ ეძლევა სიძე-სძალს, ესაა ე. წ. **ს ა რ ლ უ ნ ე ლ ი** — ღვინო, რომელსაც, ჩვეულებრივ, ზიარების შემდეგ იღებენ მორწმუნენი („განატეხთან“ ანუ სეფისკერის ნაწილთან ერთად), რათა ხელი შეუწყონ წმიდა ზიარების სრულად მიღებას. ტერმინი „სარლუნელი“ დაფიქსირებულია X-XI სს-ის რამდენიმე ლიტურგიკულ ძეგლში: ეფთვიმე მთაწმიდელის „მცირე სჯულისკანონში“, გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქსარში“, პოსტათონური კურთხევანის

1 ე. კოჭლამაზაშვილი, დიდი სინური კურთხევანის რედაქციული თავისებურებანი, გვ. 21-24.

ზოგიერთ ნუსხაში და ა. შ.¹ ტერმინი მომდინარეობს „რღუნა“ ზმნისაგან, რაც „წარზოცვას“, „წალეკვას“ ნიშნავს.² სარლუნელი ღვინო ზიარების ნამცეცებს პირის ღრუსაგან წარეცხავს და ზიარების მიმღებელი მას სრულად მიიღებს.

უცნაურია, რომ წინდობისა და გვირგვინთა კურთხევის გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანის გამომცემელი (ედიშერ ჭელიძე) ამ ტექსტში დაფიქსირებული „რღუნა“ ზმნის ასეთ მნიშვნელობას სავარაუდოდ არ მოიხსენიებს და მის სხვაგვარ განმარტებას გვთავაზობს: „სიტყვა რღუნა, როგორც ჩანს, ნიშნავს ცოტათი შესმას, მოხვრეპას; ე. ი. მან ირღუნას მისგან (ღვინისგან) ნიშნავს: მან ცოტა შესვას (მოსვას) მისგან (ღვინისგან)“.³

სარლუნელის მიღება, რა თქმა უნდა, ღვინის შესმაა, მაგრამ „რღუნა“ ტერმინი უშუალოდ „ცოტათი შესმასა“ და „მოხვრეპას“ კი არ ნიშნავს, არამედ „წარეცხვასა“ და „წალეკვას“, ე. ი. იმ დანიშნულებას, რაც სარლუნელის მიღებას აქვს. ზემოთდასახელებულ წყაროებში აშკარად ჩანს, რომ სარლუნელი მხოლოდ ზიარების შემდგომ მისაღებ ღვინოს ეწოდება (ე. ი. მისი დანიშნულებაც აშკარაა), „რღუნა“ ზმნა სხვა კონტექსტში არსად გვხვდება, და ზოგადად „შესმისა“ და „მოხვრეპის“ მნიშვნელობაც არსად აქვს.

1 მ ი ს ი ვ ე, ლიტურგიკული ლექსიკონი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2003 წ., გვ. 322. მ ი ს ი ვ ე, საეკლესიო კალენდრის შედგენის პრინციპების შესახებ, თბ., 2005 წ., გვ. 20-21.

2 შდრ. დაბ. 7,17.

3 დიდნი კურთხევანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, I, თბ., 2002 წ., გვ. 152.